შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 4610

24/02/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები,დანართი N1-ს შესაბამისად საბალანსო ღირებულებით - 4525 (ოთხიათასხუთასოცდახუთი ლარი) ნარჩენი საბალანსო ღირებულებით - 2069,5 (ორიათასსამოცდაცხრა ლარი და 50 თეთრი) და მცირეფასიანი საშუალებები, დანართი №2-ს შესაბამისად, საბალანსო ღირებულებით -1601.30 (ათასექვსასერთი ლარი და 30 თეთრი).
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული, ქონების გადაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი თორნიკე ხელთუფლიშვილი.
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის 12/02 №15904-02 და 16/02 N17003 წერილები.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

დანართი N1 (ძირითადი საშუალებები)

№	დასახელება	რაოდენობა	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება	ინვ№
1	ტელევიზორი LG 42 CS 460	1	865	605.5	№0019427
2	სკანერი EPSON DS 6500	1	1830	732	№0021234
3	სკანერი EPSON DS 6500	1	1830	732	№0021235
	სულ		4525	2069.5	

დანართი N2 (მცირეფასიანი ინვენტარი)

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა	ინვ№
1	სავარძელი	10	105.93	1059.3	№1102575-1102584
2	სავარძელი გორგოლაჭიანი	1	143	143	№1047553
3	ცეცხლგამძლე სეიფი	1	399	399	№1036272
	სულ			**1601.3**	